ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის ბეგლარ სიორიძის ერთი წლის საქმიანობის ანგარიში

იბეჭდება მცირეოდენი შემოკლებით

მოგესალმებით!

2014 წელს ისტორიული ფაქტი დაფიქსირდა – ოზურგეთს თვითმმართველი ქალაქის სტატუსი მიენიჭა. შესაბამისად, დაიგეგმა და ჩამოყალიბდა ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურა. ქალაქის მერია უფლებამოსილების განხორციელებას ამავე წლის 3 აგვისტოს შეუდგა

კანონმდებლობის სრული დაცვით ჩატარებული კონკურსით შეირჩა საჯარო მოხელეები, შემდეგ კი, საჯაროდ და გამჭვირვალედ დაიწყო პრაქტიკული საქმიანობა ქალაქის მოსახლეობის მიერ პრიორიტეტულად მიჩნეული საკითხების გათვალისწინებით.

2015 წლის 23 მარტიდან ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია გადავიდა საქმის წარმოების ელექტრონულ სისტემაზე, რამაც უზრუნველყო დოკუმენტაციის ელექტრონული მართვა, საჭირო დოკუმენტებსა და დავალებებზე სწრაფი წვდომა, დავალებების, მათზე რეაგირებისა და სხვა ორგანიზაციული საკითხების მუდმივი მონიტორინგი.

მერიის საქმიანობის გამჭვირვალობისა და საზოგადოების ინფორმირებულობის მიზნით, შეიქმნა ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი და სოციალური გვერდები. წლის განმავლობაში საზოგადოებისთვის საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით, ტარდებოდა პრესკონფერენციები და ბრიფინგები. გაშუქდა მერისა და მერიის ყველა აქტივობა, ღონისძიება, შეხვედრა მოსახლეობასთან.

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას ყველა ადგილობრივ მედია-საშუალებასთან გაფორმებული აქვს საინფორმაციო მომსახურების ხელშეკრულება.

ყოველ ხუთშაბათს, ქალაქის მერიაში იმართება მოქალაქეთა მიღების დღე. ვეცნობი მოქალაქეთა პრობლემებს და ვცდილობ, კანონსა და ფინანსებთან შესაბამისობაში, თითოეული მათგანის პრობლემა დადებითად გადავჭრა.

ქალაქის მერია აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა საქველმოქმედო ღონისძიებაში. მონაწილეობა მივიღეთ სისხლის დონაციის აქციებში, რომელიც ლეიკემიითა და მკერდის კიბოთი დაავადებულების დახმარების მიზნით ჩატარდა. ჩვენი ყველა საჯარო მოხელე, 2014 წლის აგვისტოდან, ნებაყოფლობით, აქტიურად არის

გვ-3

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. №43 (10133), 2 ნოემბერი, 2015 წ. ფასი 50 თეთრი.

ბადრი ვადაჭკორია გურიაზე ილუსტრაციების წიგნს ამზადებს

ალიონი. წარმოშობით ლანჩხუთელი, ცნობილი ქართველი ფოტოხელოვანი ბადრი ვადაჭკორია, „პალიტრასთან“ ერთად, გურიაზე ილუსტრაციების წიგნს ამზადებს.

ამის შესახებ „ალიონს“ თვით ფოტოხელოვანმა უთხრა, რომელიც 28 ოქტომბერს ოზურგეთის ისტორიულ მუზეუმში დაესწრო ახალგაზრდა მხატვართა კონკურსს „ვეხები წარსულს, რომ დავინახო მომავალი“.

„ეს ჩემი ჩემი მეთხუთმეტე ფოტოალბომია, რომელშიც დასურათხატებული იქნება მშობლიური გურია თავისი წარსულით, დღევანდელობით და მომავლის პერსპექტივით. წიგნზე მუშაობა თითქმის დამთავრებულია, მასში 2000-მდე ფოტო განთავსდება. წიგნი თურქეთში დაიბეჭდება უმაღლესი ხარისხით“,– გვითხრა ვადაჭკორიამ

ოზურგეთში ყოფნისას ფოტოხელოვანმა ექვთიმე თაყაიშვილის მუზეუმის დირექტორთან რუსლან ურუშაძესთან და „ალიონის“ საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელთან თემურ მარშანიშვილთან ერთად, სოფელ ლიხაურში გადაიღო ხსენებული მუზეუმი, ლიხაურის ღვთისშობლის სახელობის ეკლესია სამრეკლოთი, მდინარე აჭის წყლის ხეობა, აჭის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, ასევე, მხარის გუბერნატორის გია სალუქვაძის თხოვნით, თამარის ჯვარი, რომელიც შემოქმედის ეპარქიის რეზიდენციაში ინახება.

ბადრი ვადაჭკორიას თქმით, ეს ფოტოები აუცილებლად მოხვდება ამ წიგნში.

გურიაზე მომზადებული ვადაჭკორიასეულ ილუსტრაციების წიგნს მკითხველი საახალწლოდ მიიღებს.

გურიის სამხარეო ადმინისტრაციაში „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" კანონის პროექტი განიხილეს

ალიონი. 29 ოქტომბერს გურიის სამხარეო ადმინისტრაციაში „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" კანონის პროექტის (პირველი წარდგენა) საჯარო განხილვა გაიმართა, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს პარლამენტის საფინანსო - საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე **თამაზ მეჭიაური**, საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, სოფლის მეურნეობის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროების პასუხისმგებელი პირები, **USAID**-ის წარმომადგენლები, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მაჟორიტარი დეპუტატები **ზვიად კვაჭანტირაძე** და **თემურ ჭკუასელი,** მხარის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლების პირველი პირები, არასამთავრობო ორგანიზაციები და მედიასაშუალებები.

შეხვედრაზე 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტებზე იმსჯელეს. საინტერესო დებატები შედგა ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა მონაწილეობით. დაისვა საკითხები, რომელთა ფინანსურ უზრუნველყოფას სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს მხარისა და მხარეში შემავალი მუნიციპალიტეტების განვითარებისათვის.

წარმოდგენილ ბიუჯეტში მთლიანი შემოსულობები განსაზღვრულია 9 920,0 მილიონი ლარით, ასიგნებები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

შსს - 595,0 (7%), თავდაცვის სამინისტრო - 67-0,7 (7%), სოფლის მეურნეობის სამინისტრო - 281,4 (3%), სასჯელაღსრულების სამინისტრო - 153,0 (2%), განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო - 975,2 (11%), ჯანდაცვის სამინისტრო - 3070,0 (34%), ინფრასტრუქტურის სამინისტრო - 950,0 (10%), მუნიციპალიტეტების დაფინანსება - 920,0 (10%), სახელმწიფო ვალების მომსახურება - 640,0 (7%), სხვა დანარჩენი ხარჯები - 831,2 (9%).

სხვა დანარჩენი პროგრამები და უწყებები: სხვა დანარჩენი - 834,2 (50%), ენერგეტიკის სამინისტრო -135,0 (8%), ფინანსთა სამინისტრო - 90,0 (5%) საგარეო საქმეთა სამინისტრო - 100,0 (6%), ეკონომიკის სამინისტრო - 85,0 (5%), კულტურის სამინისტრო - 95,0 (6%), ბიუჯეტის ფონდები - 75,0 (5%), იუსტიციის სამინისტრო - 68,5 (4%), გარემოს დაცვის სამინისტრო - 40,7 (2%0, დევნილთა სამინისტრო - 70,0 (4%), სპორტის სამინისტრო - 75,0 (5%).

2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტებთან დაკავშირებით საჯარო განხილვები უკვე შედგა თელავში, ქუთაისში, ფოთში, რუსთავსა და დუშეთში. ოზურგეთის შემდგომ, საჯარო განხილვები ბათუმში, ახალციხესა და გორში გაიმართება.

სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საჯარო განხილვების პროექტი ხორციელდება საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის ორგანიზებით და **USAID/**დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა საქართველოში **(GGI)** მხარდაჭერით.

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 15 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 15 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

ახალი წლიდან ალიონის ფორმატი გაორმაგდა და 8 გვერდი გახდა. გამოდის ორშაბათობით

საცალო ფასი: 50 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2 ლარი,
სამი თვით – 6 ლარი,
6 თვით –12 ლარი,
ერთი წლით – 24 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი
რეგისტრირებულია
ოზურგეთის რაიონულ
სასამართლოში 18. 11. 2004
№44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოთშაბათი ალიონზე

«ალიონით»

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის ყოფნის წესი

ამონარიდები ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი დადგენილებიდან

ალიონი. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წვრილფეხა და მსხვილფეხა პირუტყვის ყოფნის წესი (შემდგომში წესი) განსაზღვრავს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის (შემდგომში პირუტყვი) ყოფნის წესებს და ამ წესების დარვევისას დამრღვევის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზომებს.

აკრძალულია ქალაქის ტერიტორიაზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის უმეთვალყურეოდ ან მეთვალყურეობის ქვეშ გაშვება.

პასუხისმგებლობა ამ წესის დარღვევისათვის განისაზღვრება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 148-ე და 151-ე მუხლების შესაბამისად.

სპეციალურ სადგომზე გადაყვანისა და მოვლა-პატრონობის საფასური (ხარჯი) განისაზღვრება დღე-რამეში 10 (ათი) ლარის ოდენობით, ცალკეულ შემთხვევებში მოვლა-პატრონობის საფასურის ოდენობა შესაძლებელია გაიზარდოს ფაქტობრივად გაწეული მომსახურების დამადასტურებელი დოკუმენტაციის შესაბამისად.

ამ წესით განსაზღვრულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ფაქტ(ებ)ს აფიქსირებს და ამ წესით განსაზღვრულ შესაბამის ქმედებებს (პირუტყვის სადგომზე გადაყვანა, აღწერა, მესაკუთრის/მფლობელის დადგენა და ა.შ) ახორციელებს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ოზურგეთის სერვისცენტრი (უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით).

თუ პირიტყვის მესაკუთრე/მფლობელი უცნობია, აღნიშნული სერვისცენტრი, ფაქტის დაფიქსირების შემდეგ, ახორციელებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ღონისძიებებს (ატყობინებს სამართალდამცავ ორგანოებს, ავრცელებს საჯარო განცხადებას) პირუტყვის მესაკუთრის/მფლობელის დადგენის მიზნით. უპატრონო პირუტყვი ექვემდებარება სპეციალურ სადგომზე გადაყვანას.

ამ წესით განსაზღვრულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ფაქტ(ებ)ის დაფიქსირების შემდეგ, სერვისცენტრი შესაბამის დოკუმენტაციას (მესაკუთრის/მფლობელის პირადობის მოწმობის ასლი, წერილობითი დადასტურება პირუტყვის მის საკუთრებაში/მფლობელობაში ყოფნის შესახებ, სამართალდარღვევის ფაქტის დამადასტურებელი ფოტომასალა და ა. შ.) წარუდგენს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, ინსპექტირების, ზედამხედველობისა და ურბანული განვითარების სამსახურს.

იმ შემთხვევაშუ თუ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტის დაფიქსირებისას ადგილზე იმყოფება პირუტყის მესაკუთრე/მფლობელი, პირუტყვზე საკუთრების უფლების დასადასტურებლად, მესაკუთრე/მფლობელი ადგილზე ადგენს ხელწერილს პირუტყვის მის საკუთრებაში ყოფნის შესახებ.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს განიხილავს, შესაბამის ოქმს ადგენს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ზემოაღნიშნული სამსახურის არქიტექტურის, მშენებლობის, ინსპექტირებისა და ზედამხედველობის განყოფილება (განყოფილების საჯარო მოხელეები), რომელიც უზრუნველყოფს სამართალდარღვევის საქმის წარმოებას, ოქმების აღრიცხვას და ახორციელებს კანონმდებლობით დადგენილ, სამართალდარღვევის საქმის წარმოებისთვის საჭირო ყველა სხვა ქმედებას. ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ოქმი შემდგომი რეაგირებისათვის დაუყონებლივ ეგზავნება უფლებამოსილ ორგანოს.

ა(ა)იპ ოზურგეთის სევისცენტრის უფლებამოსილი წარმომადგენელი უფლებამოსილია ამ წესის დარღვევის ფაქტი დააფიქსიროს ფოტოს მეშვეობით.

სპეციალურ სადგომზე გადაყვანილი პირუტყვი მესაკუთრეს დაუბრუნდება იმ შემთხვევაში, თუ იგი წარმოადგენს ჯარიმის და პირუტყვის მოვლა-პატრონობის ხარჯების გადახდის დამადასურებელ ქვითარს (დოკუმენტს), ადგილზე შეადგენს ხელწერილს, რომ სპეციალურ სადგომზე გადაყვანილი პირუტყვი წარმოადგენს მის საკუთრებას, რასაც ადგილზე ხელწერილით ადასტურებს მის მიერ წარმოდგენილი არანაკლებ სამი პირი (მოწმე).

პირუტყის დაბრუნების შესახებ დგება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ხელს აწერს სერვისცენტრის უფლებამოსილი წარმომადგენელი, პირუტყის მესაკუთრე და ამ ხელწერილზე ხელმომწერი პირები. მიღება-ჩაბარების აქტს თან უნდა დაერთოს პირუტყვის ფოტოსურათი.

დოკუმენტის სწორად შედგენაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მის წარმომდგენს.

იმ შემთხვევაში თუ პირუტყვის მესაკუთრე 30 დღის ვადაში არ გადაიხდის დაკისრებულ ჯარიმას და პირუტყვის მოვლა-პატრონობის ხარჯებს, ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია განახორციელოს პირუტყვის რეალიზება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დაჯარიმების თაობაზე გამოცემული აქტის გასაჩივრება არ ათავისუფლებს პირს პირუტყვის მოვლა-პატრონობის ხარჯების ანაზღაურებისაგან.

თუ ვერ დგინდება პირუტყვის მესაკუთრე, ამ შემთხვევაში უფლებამოსილი ორგანო იმოქმედებს საქართველოს კანონის „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“ 191-ე მუხლისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და რეალიზაციიდან ამოღებულ თანხას მიმართავს ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტში.

აღნიშნული წესის მოქმედება ვრცელდება როგორც პირუტყვის მესაკუთრეზე, ასევე იმ პირზე, რომელიც ჩადის სამართალდარღვევას, იმ შემთხვევაში, როდესაც მესაკუთრის დადგენა შეუძლებელია.

შეიცვალა, დამტკიცდა, თანხმობა მიეცა

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე

ალიონი. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 26 ოქტომბრის რიგგარეშე სხდომამ მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ - საკრებულოს 2015 წლის 2 მარტის №18 დადგენილებაში. ამ ცვლილებების სრულყოფილად გაცნობა შეგიძლიათ საკრებულოს ვებგვერდზე.

დამტკიცდა და დამტკიცების დღიდან ძალაში შევიდა „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის ყოფნის წესი“, ასევე „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ცხოველების – ძაღლის და კატის ყოლის წესი“.

ცვლილებები შეიტანეს საკრებულოს 2015 წლის 3 აგვისტოს №81 განკარგულებაში „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2016-2017 წლებში რეგიონული განვითარების პროექტების ფონდიდან განსახორციელებელი და დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე“.

თანხმობა მისცეს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერს ქალაქ ოზურგეთში, მერაბ კოსტავას ქუჩა №1-ა-ში მდებარე უძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

სხდომაზე ასევე თანხმობა მიეცა ქალაქის მერს ა(ა)იპ „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების ცენტრის“, ა(ა)იპ „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლის“ და ა(ა)იპ „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ჩოგბურთის სკოლის რეორგანიზაციის პროცესის დასრულების და რეორგანიზაციის შედეგად, ახალი სუბიექტის – ა(ა)იპ „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლისა და სპორტის განვითარების ცენტრის“ დაფუძნების შესახებ.

„ვეხები წარსულს, რათა დავინახო მომავალი“

მარი კოძოევი



პროექტი-„ვეხები წარსულს, რათა დავინახო მომავალი“ ფარგლებში გამოცხადებული კონკურსის შემაჯამებელი ღონისძიება 28 ოქტომბერს გაიმართა.

კონკურსში ოზურგეთის სამხატვრო, საჯარო და სამრევლო სკოლების მოსწავლეები მონაწილეობდნენ. მოსწავლეებს უფლება ჰქონდათ წარმოედგინათ ნახატი, ნაქარგი, ნაქსოვი, ნაძერწი და ნებისმიერი სხვა ფორმით შექმნილი ნამუშევარი. მთავარი მოთხოვნა იყო კონკურსანტს ნამუშევარი შეექმნა მხოლოდ ოზურგეთის ისტორიულ მუზეუმში დაცულ ექსპონატებთან მიმართებაში.

როგორც პროექტის ავტორებმა გვითხრეს, მათი მიზანი იყო ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა მუზეუმში დაცული ექსპონატების კულტურულ-ისტორიული წარსულის შესწავლასა და პოპულარიზაციაში, საკუთარი მხარის ისტორიის უფრო კარგად შესწავლა და მუზეუმის ცნობადობის გაზრდა.

საუკეთესო ნამუშევრები გალერეის, სამხატვრო სკოლის, მერიის, არასამთავრობო ორგანიზაციების და მუზეუმის თანამშრომლებიდან დაკომპლექტებულმა ჟიურიმ გამოავლინა. ნომინაციები ასე გადანაწილდა:

საუკეთესო ისტორიული თემა – **გიორგი კონტრიძე, ბორის გაგნიძე;**

საუკეთესო ეთნოგრაფიული კომპოზიცია – **ეკატერინე ხვედელიძე, მარიამ გუჯაბიძე.;**

საუკეთესო ასლი – **ერეკლე ჭკუასელი, აკაკი შავიშვილი.;**

რეწვა – **ლუკა რუსიეშვილი, ნინო ჩხაიძე.**

გამარჯვებულებს სხვადასხვა პრიზები და ფასიანი საჩუქრები გადაეცათ. ყველა მოსწავლეს გადაეცა სიგელი აქტიური მონაწილეობისათვის. კონკურსის იდეა ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ისტორიული მუზეუმის მეცნიერ მუშაკს, მანანა მემარნიშვილს ეკუთვნის.

მერაბ ბერძენიშვილის სახელობის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრმა **ნუცა ღლონტი** დაავჯიდლოვა.. სამუზეუმო - საბიბლიოთეკო გაერთიანებამ - **ერეკლე ჭკუასელი.** სტუდენტურ ახალგაზრდულმა სათათბიროომ – **ანა ცენტერაძე.** კულტურის, სპორტისა და ტურიზმის განვითერების ცენტრმა – **ქრისტინე მუჯირი.** „გურიის ახალგაზრდულმა რესურსცენტრმა"– **თემურ კოპლატაძე.** კულტურისა და მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრმა– **ლანა ხიზანიშვილი,** გურიის რეგიონის მხატვართა კავშირს ორი რჩეული ჰყავდა **ანა-მარია ტრაპაიძე და რობიკო ნარსია.**

კონკურსის დასკვნით ღონისძიებას, დაჯილდოებას სხვა სტუმრებთან ერთად მხარის და ოზურგეთის ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

აღნიშნული კონკურსი 28 მაისს გამოცხადდა. მონაწილეებს ნამუშევრების წარდგენის საშუალება 19 ოქტომბრამდე ჰქონდათ.

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის ბეგლარ სიორიძის ერთი წლის საქმიანობის ანგარიში

ჩართული საქართველოს სოლიდარობის ფონდის დონაციის მხარდაჭერის პროგრამაში.

ჩვენი ორგანიზებით გაიმართა საახალწლო კონცერტი სოციალურად დაუცველი, მრავალშვილიანი, ძალადობის მსხვერპლი, ეთნიკური უმცირესობისა და დევნილი ოჯახებისთვის, სადაც 104 ბენეფიციარმა მიიღო სასჩუქრე პაკეტი ქალაქის მერისგან.

მერია განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდება ჩვენი მოქალაქეების სოციალური პირობების გაუმჯობესებას. **მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია** ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სხვადასხვა ფენის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფა ჩვენი ძირითადი მოვალეობაა.

2015 წელს სოციალური სფეროს მიმართულებით ბიუჯეტიდან 403 256 ლარი გაიცა. დღეის მდგომარეობით, ქალაქის მერიამ დახმარება ქალაქის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ 1 633 მოქალაქეს გაუწია.

შემუშავდა მატერიალურად შეჭირვებულ მოქალაქეთა ყველა სეგმენტზე მაქსიმალურად მორგებული. **10 სოციალური პროგრამა: შეჭირვებულ მოქალაქეთა სამედიცინო დახმარების; იძულებით გადაადგილებულ პირთა ერთჯერადი მატერიალური დახმარების; მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარების; ხანდაზმულთა ერთჯერადი დახმარების; უსინათლო მოქალაქეთა ერთჯერადი დახმარების; თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა ერთჯერადი მატერიალური დახმარების; დედ-მამით ობოლი, 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ერთჯერადი დახმარების; მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური დახმარების; ვეტერანთა ერთჯერადი მატერიალური დახმარების; ვეტერანთა სარიტუალო დახმარების პროგრამა**

გარდა სოციალური პროგრამებისა, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიამ დააფინანსა:

საქველმოქმედო ასოციაცია "გურიას" ბენეფიციარების ტრანსპორტირებისა და კვების ხარჯები, ასევე, პედაგოგებზე ხელფასის სახით გაიცა 25 161 ლარი; ხორციელდება სოციალურად დაუცველ ბავშვთა დღის ცენტრის "შხის სხივის" ბენეფიციართა ტრანსპორტირება და კომუნალური გადასახადების დაფინანსება. (13826 ლარი); ხანდაზმულთა სახლის კომუნალური გადასახადებით უზრუნველყოფის პროგრამით გახარჯულია 9 258 ლარი;

მზრუნველობა მოკლებულთა ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში გახარჯულია 59 968 ლარი.

ქალაქის მერია არანაკლებ ყურადღებას უთმობს განათლების, კულტურისა და გენდერული თანასწორობის საკითხებს. წლეულს კულტურის სფეროში მოხდა ორი ა.ა.(ი)პ -ის გაერთიანება, რის შედეგადაც "კულტურისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრში" გაიზარდა ხელფასები, მნიშვნელოვნად განახლდა ინვენტარი. უფასო გახდა შემოქმედებითი წრეები, გაუმჯობესდა ცენტრის მენეჯმენტი და დაიზოგა საბიუჯეტო სახსრები. ფოლკლორული ანსამბლები წარმატებით მონაწილეობენ როგორც ადგილობრივ, ასევე, სხვა რეგიონებში გამართულ ღონისძიებებსა და ფესტივალებში. ცენტრის პედაგოგები კვალიფიკაციას იმაღლებენ სხვადასხვა პროფესიული ტრენინგის საშუალებით.

მდიდარი ფოლკლორული ტრა-დიციების გამო, **ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტს „ფოლკლორის ქალაქის" სტატუსი მიენიჭა.** გაიხსნა ფოლკლორის ცენტრის დასავლეთ საქართველოს რეგიონული წარმომადგენლობა. აღნიშნულ ცენტრს ფუნქციონირებისთვის ქალ-აქის მერიამ ფართი უსასყიდლოდ გადასცა.

მდიდარ ტრადიციებს წარმატებით განაგრძობს ჯუმბერ დუნდუას სახელობის სახელმწიფო ანსამბლი „გურია". 2014-2015 წლებში ანსამბლმა რუმინეთში, უნგრეთში, რუსეთსა და გერმანიაში წარმატებული საგასტროლო ტურნე ჩაატარა.

ქალაქის მერიის დაფინანსებით, ალ. წუწუნავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი 2014 წელს თეატრალურ ფესტივალზე ლიტვაში იმყოფებოდა, სადაც დასმა რამდენიმე სპექტაკლი წარმატებით წარმოადგინა. ასევე, წარმატებით დასრულდა საგასტროლო ტურნე კახეთის რეგიონში.

ოქტომბერში „თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრი-სურათების გალერეას ცნობილი მოქანდაკის, საპატიო ოზურგეთელის, ბატონი მერაბ ბერძენიშვილის სახელი მიენიჭა.

კულტურის სამსახურის მიერ 2014-2015 წლებში ჩატარდა სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები. გაიმართა „ალეგრობა - ოზურგეთობის" დღესასწაული, რომელიც მიზნად ისახავს ჩვენი ქალაქის პოპულარიზაციას. ქალაქის მერიამ დააწესა წოდება „საპატიო ოზურგეთელი", რომელსაც, ყოველწლიურად, ღვაწლმოსილი, ამაგდარი მოქალაქეები ალეგრობის დღესასწაულზე იღებენ. წელს, „ალეგრობა-ოზურგეთობაზე" ქალაქ ოზურგეთს საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ირაკლი ღარიბაშვილი სტუმრობდა.

ასევე, ჩატარდა „საშობაო ალილოს" მსვლელობა, საქართველოს დამოუკიდებლობის დღე, ბავშვთა დღე -1 ივნისი, დედათა და ქალთა დღე - ეს იმ ღონისძიებათა მცირედი ჩამონათვალია, რომელიც კულტურის სამსახურის ორგანიზებით გაიმართა.

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია ერთ-ერთი პირველია საქართველოს მუნიციპალიტეტებს შორის, სადაც **დაცულია გენდერული ბალანსი. საქართველოს პარლამენტის გენდერული საბჭოსა და გაეროს ეგიდით გამოცხადებულ კონკურში ქ. ოზურგეთის მერიამ, გენდერული ბიუჯეტის დანერგვისათვის, უმაღლესი ჯილდო მიიღო.**

წლეულს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია თურქეთის ქალაქ ორდუს დაუმეგობრდა. დამეგობრების მიზანია ორდუს ვილაიეთსა და გურიის რეგიონს შორის მეგობრული კავშირების, სავაჭრო და ტურისტული ურთიერთობების დამყარება.

ზოგადი განათლების ხელშეწყობის მიზნით, ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედ სკოლებს, საჭიროების მიხედვით, მერია ფინანსურ დახმარებას უწევს. საჯარო და სამრევლო სკოლების მოსწავლეებს, საატესტატო გამოცდებზე მიღწეული განსაკუთრებული წარმატებისთვის და კურსდამთავრებულებს, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე 100%-იანი დაფინანსების მოპოვებისთვის, ფულადი თანხა გადაეცათ.

ახალგაზრდობა, სპორტი და ტურიზმი. სპორტსმენების სახით, ოზურგეთის საამაყო და ღირსეული თაობა ჰყავს, რომლებიც წარმატებებს აღწევენ სხვადასხვა ჩემპიონატსა თუ შეჯიბრში. 2014 წლის 28 დეკემბერს ქალაქის მერიამ ტიტულოვანი სპორტსმენების საზეიმო შეკრება ჩაატარა. სადაც წარმატებული სპორტსმენები დაჯილდოვა. 15 სპორტსმენსა და 4 მწვრთნელს გადაეცა ამ მიზნით გამოყოფილი 8400 ლარი. ამ ღონისძიებაზე, ასევე, დაჯილდოდნენ ის ბიზნესმენები, რომლებსაც თავიანთი წვლილი შეაქვთ სპორტის განვითარებაში.

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია, განვითარების თვალსაზრისით, ფინანსურად ეხმარება ადგილობრივ სპორტულ ფედერაციებს. მერიის დაფინანსებით და სპორტის სამსახურის ორგანიზებით, ადგილობრივ საჯარო და სამრევლო სკოლებს შორის სპორტული შეჯიბრებები იმართება. ასევე, სხვადასხვა ახალგაზრდულ ბანაკში გასამგზავრებლად, ფინანსურად უზრუნველვყოფთ წარმატებულ მოსწავლეებს.

2014 წლის სექტემბერში ტურიზმის განყოფილებამ მონაწილეობა მიიღო ტურიზმის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში, გაიმართა სხვადასხვა ტიპის აქტივობა.

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიამ, ფულადი თანხით, გინესის რეკორდსმენი, გოდერძი მახარაძე დაჯილდოვა, რომელმაც 26 მაისის ღონისძიებაზე გინესის მორიგი რეკორდი დამყარა. წლეულს, ქალაქმა ოზურგეთმა ოლიმპიურ ჩირაღდანს უმასპინძლა.

ქალაქის სივრცითი მოწყობა და ურბანული განვითარება, შესაბამისი სამსახური მშენებლობებზე, ქალაქის იერ-სახის გაუმჯობესებასა და დებულებით განსაზღვრულ სხვა საკითხებზე ყოველდღიურ ზედამხედველობას ახორციელებს. მიმდინარე წელს, ზემოთ ხსენებულ სამსახურში 316 განცხადება შემოვიდა. შესწავლილ იქნა და თითოეულ მათგანზე გაიცა შესაბამისი პასუხი.

ექსპლუატაციაში მიღებულ იქნა 17 სამშენებლო ობიექტი; გაიცა 18 მშენებლობის ნებართვა; მოხდა 5 შეთანხმება. საჯარიმო სანქციები გატარდა სამ ფიზიკურ და იურიდიულ პირზე. ქალაქის ბიუჯეტში, მშენებლობის მოსაკრებლის სახით, შეტანილ იქნა 5 480 ლარი. ჯარიმის სახით – 5 000 ლარი. ქ. ოზურგეთის ტერიტორიაზე, სამსახურის მიერ მოხდა 83 ერთეული უსახური და უნებართვო სარეკლამო ბრის აღრიცხვა და დემონტაჟი.

შესწავლილ იქნა ქ. ოზურგეთის ტერიტორიაზე გაშენებული ხეების მდგომარეობა, აღირიცხა დაზიანებული, გამხმარი და ხმობადი ხეების რაოდენობა, რის შედეგაც, შესაბამისი აქტების საფუძველზე, განხორციელდა მათი მოჭრა, დასაწყობება და სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის გადაცემა.

ინფრასტრუქტურა ქალაქის მერისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. მერიის ფორმირების პერიოდისთვის, ქალაქში დავხვდა საკმაოდ ბევრი პრობლემა: მოუწესრიგებელი ქუჩები, ამორტიზებული მიწისქვეშა კომუნიკაცია, სიძველით დაზიანებული და ფუნქციადაკარგული შენობები. სწორედ ამიტომ ხელისუფლებამ საბიუჯეტო სახსრების დიდი ნაწილი ამ პრობლემების გადაჭრისკენ მიმართა.

დავასრულეთ ინფრასტრუქტურული პროექტები (საერთო ღირებულებით 1 536 300 ლარი), რომლებიც ფინანსდებოდა რეგიონული განვითარების პროექტების ფონდიდან. ამავე წელს განხორციელდა შემდეგი სახის პროექტები: წმინდა გიორგის ქუჩა - ექვდიის სასაფლაოს 2,7 კმ სიგრძის გზის 0,6 კმ მონაკვეთის რეაბილიტაცია; გრიბოედოვის ქუჩის მრავალბინიანი კორპუსების ეზოების კეთილმოწყობისა და მისასვლელი გზის რეაბილიტაცია; ბესიკის ქუჩის რეაბილიტაცია; შევჩენკოს ქუჩაზე 2 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია; სპორტული კომპლექსის მშენებლობა; 6 საბავშვო ბაღის კაპიტალური რემონტის სამუშაოები; საბავშვო ბაღებისთვის (1, 7, 9) ინვენტარის შეძენა.

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, 2015 წლის განმავლობაში, სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაზე იხარჯება 7 241 556 ლარი, მათ შორისაა: რუსთაველის, ნიკოლაძის, გურამიშვილის, ფარნავაზ მეფის, გურიის, ჭანტურიას, გრიბოედოვის, ბესიკის, წმინდა გიორგის, ჩაჩიბაძის, კლდიაშვილის, გოლიათის, ლალიონის, ლერმონტოვის, საფო მგელაძის ქუჩების მოასფალტება; ჭავჭავაძის ქუჩაზე 8, 10, 4 და რუსთაველის ქუჩაზე 6 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობა; ქალაქის ცენტრალურ ნაწილში ტროტუარების კეთილმოწყობის სამუშაოები; უსახლკაროთა თავშესაფარის შენობის რეაბილიტაცია ქალაქის მერიის სპეციალურმა კომისიამ შეიმუშავა 60 უსახლკარო ოჯახის სია, რომლებიც ხსენებულ შენობაში გარემონტებულ, საცხოვრებლად ყველა საჭირო პირობის მქონე ფართს მიიღებენ. ხსენებულ შენობაში მობინადრეების მიღება

შესაძლებელი იქნება ერთ თვეში.

2014 წლის სექტემბერსა და ოქტომბერში ქალაქ ოზურგეთში მომხდარი სტიქიის **სალიკვიდაციო სამუშაოების** შესასრულებლად გამოიყო 3 608 827 ლარი. აღირიცხა და შესწავლილ იქნა სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობა. სტიქიამ ზიანი 47 ოჯახს მიაყენა. ქალაქის მერიამ მიყენებული ზარალი თითოეულ ოჯახს სამშენებლო მასალით, აუნაზღაურა.

სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა ქალაქის ცენტრალურ ნაწილს და მიმდებარე ტერიტორიებს, რის შედეგადაც, წლეულს პირველად, ქალაქის ცენტრის დატბორვის საშიშროება აღარ დამდგარა.

ხსენებული რეზულტატი მივიღეთ შემდეგი პროექტების განხორციელების შედეგად:

გურიისა და დავით აღმაშენებლის ქუჩაებზე სანიაღვრე არხების მოწყობა; ყაზბეგის ქუჩის მიმდებარედ მდ. აჭისწყლის კალაპოტის გასწორებაზოგ-ნება და გაბიონის მოწყობა;

თაყაიშვილის ქუჩის მიმდებარედ მდ. აჭისწყალზე ნაპირდამცავი გაბიონების მოწყობა;

გოლიათის ქუჩის მიმდებარედ მდ. ბაზრისწყალზე ნაპირდამცავი ჯებირების მოწყობა; სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის სხვადასხვა სამშენებლო მასალების შესყიდვისა და ადგილზემიტანის მომსახურება; მდ. სკუჩას კალაპოტის გაწმენდა და არხის ბეტონის კედლის გამაგრება; გენიჩესკის ქუჩაზე არხის მოწყობა; გრიბოედოვის ქუჩაზე მდებარე ექვსი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ სანიაღვრე არხებისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები; თაყაიშვილის ქუჩის მიმდებარედ მდ. შკვარა-შკურაზე ნაპირდამცავი ჯებირების მოწყობა; დიმიტრი ბაქრაძისა და მალაზონიას ქუჩების მიმდებარედ, ფერდის დამჭერი გაბიონებისა და მონოლითური რკინაბეტონის კედლის მოწყობის სამუშაოები; მდინარე ბაზრისწყალზე ორივე მხარეს ნაპირდამცავი ჯებირების მოწყობა.

მიმდინარეობს სტიქიის სალიკვიდაციოდ დაგეგმილი სხვა პროექტების განხორციელება. სულ შესრულებულია 1 599 971 ლარის ღირებულების სამუშაო.

საკუთარი ბიუჯეტით ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე იხარჯება 828 618 ლარი.

2015 წლის ოქტომბრის მდგომარეობით დასრულებულია შემდეგი სამუშაოები: გურამიშვილის ქ. 14-ში მდებარე ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლის წინა და გვერდითი ფასადების შეკეთება; იოანე პეტრიწის ქ. 1-ში მდებარე თორმეტსართულიანი საცხოვრებელი სახლის გარე ფასადების კაპიტალური შეკეთება; 9 აპრილის ქუჩის კეთილმოწყობა; დოლიძის ქ. 9 და ჭავჭავაძის ქ. 14-ის კვეთაში მდებარე ოთხსართულიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია; ანასეულში საექიმო ამბულატორიის რემონტი; აქვე, მეცნიერების ქ. 24-ში მდებარე ოთხსართულიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია; გრიბოედოვის ქ. 23-ში მდებარე მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში წყალგაყვანილობის შიდა ქსელის სარემონტო სამუშაოები; თენიეშვილის ქ. 12-ში მდებარე ცხრასართულიანი საცხოვრებელი სახლის ლიფტის უჯრედის სახურავის შეკეთება; სიკო დოლიძისა და გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩებზე სადრენაჟო მილგაყვანილობისა და არხის მოწყობა; სარეაბილიტაციო სამუშაოები ცენტრალურ სტადიონზე; ჭადრების ბაღში ტერიტორიის მოწესრიგება; გურიის ქუჩაზე აგრარული ბაზრის ფასადის რეკონსტრუქცია; რუსთაველის ქ. 28-ში მდებარე სპორტული კომპლექსის გაზმამარაგების სამუშაოები; კლდიაშვილის ქუჩაზე მდებარე სკვერის კეთილმოწყობა;ქ. ოზურგეთში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია (გათვალისწინებულია 23 მრავალბინიანი სახლის სახურავის მთლიანი ან ნაწილობრივი რეაბილიტაცია); რუსთაველის ქ. 6-ში მდებარე ოთხსართულიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია.

საკუთარი ბიუჯეტითა და რეგიონული განვითარების ფონდის სახსრებით მიმდინარეობს: ლერმონტოვის; ლალიონის; საფო მგელაძის; ჩაჩიბაძის; კლდიაშვილისა და გოლიათის ქუჩების ნაწილობრივი და სრული მოასფალტება; დაზიანებული ქუჩების სავალი ნაწილების მოასფალტებისა და ორმული შეკეთება; გურამიშვილის ქ. 7-ში და ჭავჭავაძის ქ. 15-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ფასადის სარემონტო სამუშაოები; ბოლქვაძის ქ. 13-ში და 15-ში ხუთსართულიანი მრავალბინიანი კორპუსების ფასადების სარეაბილიტაციო სამუშაოები; გრიბოედოვის ქ. 25-ში და კოსტავას ქ. 2-ში მდებარე მრავალბინიანი კორპუსების საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია; ჭავჭავაძის ქუჩაზე მრავალბინიანი სახლების ეზოების კეთილმოწყობა.

ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი, რომლის დაწყებასაც ქალაქის დიდი ნაწილი ელოდებოდა, გახლავთ წყლის სისტემის რეაბილიტაცია. ქალაქის ცენტრალურ ნაწილში მიმდინარეობს 3 500 000 ლარის ღირებულების შესაბამისი სამუშაოები. პროექტი ქალაქის ყველა ცენტრალურ ქუჩას მოიცავს და გულისხმობს სისტემის მთლიანად შეცვლას, აბონენტებამდე წყლის მილების მიყვანას. სარეაბილიტაციო სამუშაოები 2016 წლის ბოლოსთვის დასრულდება.

ბიუჯეტი. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტი, საკრებულოს 2014 წლის 26 დეკემბრის 45 დადგენილების შესაბამისად, დამტკიცებული იქნა 9 662 300 ლარით, აქედან: სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი განისაზღვრა 1 670 000 ლარით, ხოლო საკუთარი შემოსავლები 7 992 400 ლარით.

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტი შემოსავლების ნაწილში განისაზღვრა 9662300 ლარით., მათ შორის: გადასახადები – 350000 ლარით, გრანტები – 6559700 ლარით,

▶▶▶ გვ-4

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის ბეგლარ სიორიძის ერთი წლის საქმიანობის ანგარიში

მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად - 86 000 ლარი; კაპიტალური და სპეციალური ტრანსფერი - 221 600 ლარი. სხვა შემოსავლები - 766 900 ლარი; ნაშთის ცვლილება - 1 985 700 ლარი.

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვრა 9 662 300 ლარით. მათ შორის:შრომის ანაზღაურება - 1 332 700 ლარი; საქონელი და მომსახურება - 779 600 ლარი; სუბსიდიები - 3 879 500 ლარი; გრანტები - 528 100 ლარი; სოციალური უზრუნველყოფა - 266 900 ლარი; სხვა ხარჯები - 165 000 ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდა - 2 330 500 ლარი;ვალდებულებების კლება - 380 000 ლარი.

დღევანდელი მონაცემებით, 2015 წლის ბიუჯეტი შეადგენს 14 348 900 ლარს. აქედან, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი გაიზარდა 4 093 500 ლარით, ხოლო საკუთარი შემოსავლები – 593 000 ლარით, რომელიც მიმართული იქნა ბიუჯეტის ძირითად პრიორიტეტზე - ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია.

ბიუჯეტის 56% ინფრასტრუქტურის მშენებლობას, რეაბილიტაციასა და ექსპლოატაციას უკავია, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ამ სფეროს პრიორიტეტულობას. ამ ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ქალაქის საცხოვრებელი უბნების ეზოების, დასასვენებელი პარკებისა და მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა. ქალაქის ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა, პრიორიტეტის ფარგლებში, განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მისი ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

მიუხედავად უამრავი სირთულისა და წინააღმდეგობისა, ვარ ძალიან ამაყი, რომ ამ ხნის განმავლობაში, ჩემს გუნდთან ერთად, ქალაქისთვის ბევრი კარგი საქმის გაკეთება შევძელი.

სრულად ვაცნობიერებ პასუხისმგებლობას,რომელიც ხალხის წინაშე მაკისრია და ვიცი, რომ უკვე განხორციელებული ინფრასტრუქტურული, სოციალური და სხვა სახის პროექტები ჩვენი ქალაქის სრულყოფისა და მოქალაქეების კეთილდღეობისთვის საკმარისი არ არის, მაგრამ დამერწმუნეთ, ყველაფერს გავაკეთებ, იმისთვის, რომ ჩემი საარჩევნო ვადის ამოწურვამდე, ოზურგეთი იყოს ერთ-ერთი სამაგალითო ქალაქი.

მინდა, მადლობა გადავუხადო მერიის თითოეულ თანამშრომელს, ისინი ამ დროის განმავლობაში ჩემთან ერთად ინაწილებდნენ იმ დიდ პასუხისმგებლობას, რომელიც ჩვენ ხალხის წინაშე გვაკისრია.

განსაკუთრებული მადლობა საქართველოს მთავრობას, პრემიერ-მინისტრს, ირაკლი ღარიბაშვილს, გურიის მხარის გუბერნატორს, გია სალუქვაძეს და ოზურგეთის მაჟორიტარ დეპუტატს, ზვიად კვაჭანტირაძეს, რომ არა ეს ადამიანები, მერობის ერთწლიანი მუშაობის პერიოდში, გამიჭირდებოდა ოზურგეთისთვის ესოდენ მნიშვნელოვანი და საჭირბოროტო საკითხების გადაჭრა.

ასევე, ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის მადლობა მინდა გადავუხადო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს მერაბ ჭანუყვაძეს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, დავით დარჩიას. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელს, ირაკლი კუჭავასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელს ზაზა ურუშაძეს.

მადლობა ადგილობრივ მედია-საშუალებებს, რომლებიც აქტიურად აშუქებდნენ ყველა მოვლენას, რომელიც მერიის საქმიანობასთან იყო დაკავშირებული. მედიასექტორის დამსახურებაა, რომ დღეს საზოგადოება საკმაოდ დეტალურად არის ინფორმირებული მერისა და მერიის საქმიანობის შესახებ.

ახლა კი დარბაზში მყოფ საზოგადოებას ვთხოვ, დასვათ ის შეკითხვები, რომელიც მერისა და მერიის საქმიანობის მიმართ გაგაჩნიათ. ვეცდები მაქსიმალურად დეტალურად გავცე პასუხი თქვენს მიერ დასმულ კითხვებს.

ანგარიშის წარდგენის შემდეგ, ბეგლარ სიორიძემ უპასუხა დარბაზიდან დასმულ შეკითხვებს.

შეხვედრის დასასრულს ოზურგეთის მაჟორიტარმა დეპუტატმა ზვიად კვაჭანტირაძემ და გურიისგუბერნატორმა გია სალუქვაძემ თავიანთ სიტყვებში დადებითად შეაფასეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისა და მერიის მიერ ერთი წლის განმავლობაში გაწეული მუშაობა.

თვითმართველი თემი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტი აცხადებს განმეორებით აუქციონს

№	დასახელება	მდებარეობა	საკადასტრო კოდი	მიწის ფართი კვმ	მირ. შენობის ფართი კვმ	„ბე" 10 % (ლარი)	„ბიჯი" 5 % (ლარი)	მონაწილის ბილეთი (ლარი)	საწყისი გასაყიდი ფასი (ლარი)
1	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა	სოფ. ნატანები	26.01.84.036	1134	722	2 830	1 415	50	28 224
2	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა	დაბა ლაითური	26.25.13.015	977	1312	2 600	1 300	50	26 000
3	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი **	სოფ. ლიხაური	26.16.24.055	435		250	125	50	2 500
4	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა	სოფ. მაკვანეთი	26.14.13.071	306	156	160	80	50	1600
5	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	დაბა ურეკი	26.28.11.312	338		3042	1521	50	30420
6	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთ	დაბა ურეკი	26.28.13.228	32		480	240	50	4800
7	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთ	სოფ. ნატანები, შეკვეთილი	26.01.45.518	19 205		115230	57615	50	1152300

აუქციონში გამარჯვების კრიტერიუმია

ა. საწყის ფასზე ბიჯის დანამატის შემდეგ მაქსიმალური ფასის გადახდა;

ბ. საპრივატიზაციო თანხის დაფარვა აუქციონის ჩატარებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში;

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;

სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში);

"აუქციონში მონაწილეობა შეუძლია საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქეს და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს, ან ასეთ პირთა გაერთიანებას, რომელთა ქონებაში საქართველოს სახელმწიფოს ან ადილობრივი თვითმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25 %-ზე ნაკლებია;

",ბე"-ს და მონაწილის ბილეთის საფასური შეტანილი უნდა იქნეს შემოსავლების ერთიან ანგარიშზე, შემდეგ სახაზინო კოდზე **300903205;**

დამატებითი ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შექმნილ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადამცემ მუდმივმოქმედი საუქციონო კომისიაში"; მისამართი: ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. 1 ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა;

"აუქციონში მსურველთა განცხადებების მიღება მიმდინარეობს ყოველ დღე, შაბათ-კვირის გარდა, 2015 წლის 26 ოქტომბრიდან 25 ნოემბრის 12 სთ-მდე;"

აუქციონი ჩატარდება 2015 წლის 25 ნოემბერს, 14 სთ-ზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შენობაში

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადამცემ მუმივმოქმედი საუქციონო კომისია" ტელ: 595 906 305, 599 33 32 23, 599 70 47 70.

საპროტესტო აქცია და პროვოკაციის მცდელობა

ალიონი. 30 ოქტომბერს, ქ. ოზურგეთში, ზვიად გამსახურდიას სახელობის მოედანზე, მოქალაქეთა რამდენიმე კაციანმა ჯგუფმა გამართა საპროტესტო აქცია მოთხოვნით „ აიკრძალოს ნაციონალური მოძრაობა“ და პასუხისგებაში მიეცეს საკაშვილის რეჟიმის ყველა „შემოქმედი“. აქციაზე გამოფინეს ხსენებული რეჟიმის მამხილებელი ფოტომასალები და პროტესტის მატარებელი ტრანსპარანტები.

რაოდენ საკვირველიც არ უნდა იყოს, აქციის ადგილზე ყველაზე ოპერატიულად გამოცხადდნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და „თავისუფალი ზონის“ ადგილობრივი წარმომადგენლები. მათი მხრიდან იყო პროვოკაციის მცდელობაც, რასაც შემდგომი გაგრძელება არ მოჰყოლია.

აქციის ორგანიზატორები აცხადებენ, რომ მსგავსი აქციები კვლავ გაიმართება, სანამ სამართალი პურს არ ჭამს მთელი ქვეყნის მასშტაბით.

ბიურომ სხდომა საზოგადოებრივ დარბაზთან ერთად გამართა

29 ოქტომბერს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა, საზოგადოებრივი დარბაზის წევრების აქტიური მონაწილეობით მიმდინარეობდა.

საკრებულოს რეგლამენტში დაგეგმილ ცვლილებებზე იმსჯელეს, არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირის“ წარმომადგენლებმა და საკრებულოს ბიუროს კონკრეტული რეკომენდაციებითაც მიმართეს.

„საზოგადოებრივი ორგანიზაციების რეკომენდაციებსა და ინიციატივებს ჩვენ არა მხოლოდ ვისმენთ, არამედ პრაქტიკაში რეალიზებასაც ვახდენთ. სწორედ ასეთი ურთიერთკოორდინირებული მუშაობა გვეხმარება, საკრებულო იყოს მაქსიმალურად საჯარო და გამჭვირვალე ორგანო, ეს არის ჩვენი მუშაობის მთავარი პრინციპიც.“ – აღნიშნა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ დიმიტრი კვერღელიძემ.

მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველმა მოადგილემ არჩილ ყაზაიშვილმა დეტალურად მიმოიხილა დადგენილების პროექტი, რომელიც „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ

პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფას“ შეეხება. პროექტი საკრებულოს სოციალური და ინფრასტრუქტურის კომისიებმა დადებითი დასკვნით შეაფასეს, ხოლო ბიუროს წევრებმა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დასაწყებად, საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეიტანეს.

ასევე, დღის წესრიგში შევიდა და საკრებულოს მორგ სხდომაზე იმსჯელებენ: „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების საპრივატიზაციო და ოჯარით გასაცემი ობიექტების ნუსხის შესახებ, განკარგულების მიღებასა და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, ხეივნების, შესახვევების, ჩიხების, (მოედნების, სკვერების, ბულვარების) მრავალბინიანი სახლების, სადარბაზოებისა და ბინების ნუმერაციის წესის დამტკიცების თაობაზე.

საკრებულოს მორიგი სხდომა 4 ნოემბერს, 11 საათზე გაიმართება.

როგორც იქნა და Haffi end-ით

„ვიდრე მდინარე დაიკლებს“ – ასე ჰქვია გამომცემლობა „დავითის“ მიერ ნუკრი ნიკოლაიშვილის ახალგამომცხვარ წიგნს.

ახლა ვინმემ რომ იკითხოს, ნუკრი ნიკოლაიშვილი ვინაა, ჯერ სიცილისგან ჩავბჟირდები, მერე კი შეიძლება გინებაზეც გადავიდე, რადგან ამ უცნაურ წუთისოფელში გამორიცხული არაფერია – შესაძლებელია, რომელიღაც ბნელსა და უგუნურს, მოსკანდალესა თუ სიცრუის მტირაჟირებელს, მართლაც დაცდეს ასეთი იდიოტური კითხვა.

ნუკრი ბავშვობიდანვე „წერას ჰყავდა ატანილი“, მაგრამ მოწიფული ჟურნალისტი და პროზაიკოსი გაზეთ „ალიონში“ გახდა... შემდეგ გაზეთ „აჭარასაც“ დაატყო თავისი მადლიანი კალმის კვალი. ნუკრი მწერალია – ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით, მოკლედ და ყოვლისმომცველის წერის ოსტატია ნამდვილი, რამდენსაც წაიკითხავ, იმდენ ახალს აღმოაჩენ მის ნაწერებში. თუ ვინმე დამისახელებს ნუკრის სუსტ მოთხრობას, ნოველას, ან სულაც საგაზეთო წერილს, ასი ოქრო რომ მქონდეს, ასევეს უშიშრად სანაძლეოში ჩავდებდი. და თუ წავაგებდი, მწერლობასა და ჟურნალისტიკაზეც ხმას საერთოდ აღარ ამოვიღებდი.

მართალი გითხრათ, ცოტა გამიკვირდა, რომ წიგნში მხოლოდ თოთხმეტი ნაწარმოები შეუტანია, მაგრამ ვიცი მე მაგისი მოკირკიტე ხასიათი. ისე, რაც შეუტანია, ხომ ნაღდია და განუმეორებელი როგორც სათაურით, ისე შინაარსით! ამ წერილის სახელიც მისი ერთ-ერთი მოთხრობის სათაურს („ბედნიერება კოშმარული აფფი ენდ-ით“) დავესესხე.

ეს ნუკრი ნიკოლაიშვილის პირველი წიგნია, არადა, ვინც ამ კალმოსანის შემოქმედებაში ჩახედულია, დამემოწმება, მეათე მაინც უნდა იყოს, რომ არა მისი რაღაცნაირი ახირება თუ ზედმეტი მორიდებულობა.

და მაინც, ეს ერთი და სხვა მრავალი!!!



თემურ მარშანიშვილი

დგას კვირიკეთის ეკლესია

წალკოტივით ტურფა, ულამაზეს ადგილას აუშენებიათ ძველ დროს ჩვენს წინაპრებს, სოფელ კვირიკეთში წმიდა კვირიკესა და ივლიტას სახელობის ეკლესია. ჩვენამდე მხოლოდ მისი ნანგრევებიღა იყო შემორჩენილი. მოსახლეობამ ძალ-ღონე არ დაიშურა საყდრის აღსადგენად. საქმეს ამ სოფლის შვილი, მსახიობი ჯემალ კეჭაღმაძე ჩაუდგა სათავეში. იგი ამ ტაძრის მოძღვრის, მამა მათეს უეჭველი თანადგომით, მასთან ერთად, დღე და ღამეს აერთიანებდა, შრომობდა დასახული გეგმის განსახორციელებლად და კიდეც აღასრულა ეს საღვთო ჩანაფიქრი.

დღეს ამაყად დგას კვირიკეთის ეკლესია, დიდებით მოსილი, განახლებული, მოქმედი, სრულქმნილი.

ტაძრის ეზოში შესვლისთანავე საოცარი სამყარო იშლება ჩვენს თვალწინ. მშვენიერ გარემოს ირგვლივ გომისმთის ზვიადი მთები აკრავს გარს. ეზოში მდგარი, ძველთაძველი, მრავლისმომსწრე, რტოებხნიერი ჭადარი დღესაც მხნედ და თავმომწონედ გამოიყურება.

ნამდვილ სასწაულს მოგვაგონებს აქ გაზაფხულის განთიადი, როდესაც ათასი სჯულის ფრინველნი მონასტრის კედლებს თავს ევლებიან, დასტრიალებენ და ანგელოზთა მსგავსად საამური ხმით გალობენ.

იშვიათობას წარმოადგენს თავად ტაძრის კოხტად, ნატიფად ნაგები შენობა, მთელი თავისი სამონასტრო კომპლექსით – სამრეკლოთი და სატრაპეზოთი; შიგნით კი ტაძრის ფართო, მაღალჭერიანი დარბაზი, შესრულებული არაჩვეულებრივი ხატწერით, მოხატული უდიდესი გემოვნებითა და ფერადოვნებით. უფლის, ღვთისსშობლისა და წმინდანთა გამოსახულებებით.

ეკლესია ყოველთვის სავსეა მორწმუნე ადამიანებით, სადაც წირვა-ლოცვას აღავლენს ამ ტაძრის უცვლელი წინამძღვარი მამა მათე. ვინც კი ერთხელ მისი სულიერი შვილი გამხდარა, ვისაც კი ოდესმე მისი ბრძნული, სულსა და გულში ჩამწვდომი ქადაგება მოუსმენია, ისე შეთვისებია თავის სულიერ მამას, აქაურობას, ამ ტაძრის მრევლს, რომ თავისი ეკლესიური ცხოვრების ბოლომდე აქ გატარება განუზრახავს და სხვაგან წასვლა დანანებია.

გურიაში, ამ უდიდეს წმინდანთა სახელობის ერთადერთი ეკლესია არსებობს. 28 ივლისს, კვირიკობის ბრწყინვალე დღესასწაულზე, სამივე რაიონის ეკლესიათა მამები, თავიანთ მრევლთან ერთად, აქ იკრიბებიან და ზეიმობენ სარწმუნოებისათვის თავდადებულ წმიდა მოწამეთა კვირიკესა და ივლიტას დღეს. ამ დღეს, უკლებლივ ყოველ წელიწადს აქ ამოდის ჯიხეთის დედათა მონასტრის მოძღვარი მამა ანდრია, დედაოებთან ერთად, გვლოცავს და მოგვითხრობს წმინდანთა თავგადასავალს.

კვირიკეთში, თითქმის ყოველი დღესასწაულის შემდეგ, იმართება ტრაპეზობა. აქ გზად გამვლელსაც კი ეპატიჟებიან სუფრასთან და გულუხვად მასპინძლობენ. სატრაპეზოში ყოველთვის წესრიგი და სისუფთავეა, ჭურჭლეულობა მოვლილი და მუდამ ფაქიზად გაწმენდილია. ეს კი ამ ტაძრის მზარეულის თამილა ჯიბუტის დამსახურებაა.

უკვე მრავალი წელია, ტაძრის მესანთლე ქალბატონები, ლამზირი და დარეჯანი, თბილად, კეთილად და გულისყურით ემსახურებიან ტაძარში სანთლების და სხვა საეკლესიო ნივთების საყიდლად შემოსულ ადამიანებს.

ეკლესიაში მოღვაწეობენ შესანიშნავი მგალობლები, მედავითნეები, სტიქაროსნები. ზოგი მათგანი თვითონვე გახდნენ სხვადასხვა ტაძრების სულიერი მამები. ესენია: მამა ვახტანგი, მამა ბესარიონი, მამა იოსები და სხვები.

აქ მრევლი ერთსულოვანი, ჭირსა და ლხინსი ერთმანეთის დამხმარე და ხელშემწყობია.

ერთი კვირაა, რაც ტაძარში სარესტავრაციო სამუშაოები მიმდინარეობს იმის გამო, რომ გვერდით მხარეს, საწვიმარ ადგილას წყალი ჩამოვიდა. ახალგაზრდული ჯგუფი თენგიზ სიხარულიძე, ალეკო გელაშვილი, მამუკა ერქომაიშვილის ხელმძღვანელობით, ქველმოქმედებას მონდომებითა და სასოებით ასრულებენ.

მშვენდება და ძლიერდება კვირიკეთის ეკლესია.

წმიდა კვირიკესა და ივლიტას მადლი შეგვეწიოს ყველა ჩვენგანს.

ნანა ჯანხოთელი

100 მეცნიერი, რომელმაც შეცვალა მსოფლიო

ჯონ ბალჩინის წიგნიდან „ქვანტური ნახტომი“

ჯონას სალკი (1914-1995). 1942 წელს ჯონას სალკიმ მუშაობა დაიწყო მიჩიგანის უნივერსიტეტში გრიპის იმუნიზაციის პროექტზე.

1955 წელს აშშ-ში სალკის ვაქცინა უსაფრთხო და ეფექტიან საშუალებად გამოცხადდა.

მე-19 საუკუნის შუახანებისთვის სამედიცინო მეცნიერების წინსვლამ ბევრი ავადმყოფობა აღმოფხვრა აცრებითა და ეფექტური მკურნალობით. ერთი განსაკუთრებულად სასტიკი დაავადება, რომელსაც ვერაფერი მოუხერხეს, იყო პოლიომიელიტი (ზურგის ტვინის რუხი ნივთიერების ანთება). ეს იყო ბავშვთა მწვავე ინფექციური დაავადება, რომელიც იწვევდა დამბლას. მისი შემთხვევები სულ უფრო მატულობდა და 1940-50-იან წლებში საშინელ ეპიდემიად იქცა, განსაკუთრებით აშშ-ში. ადამიანი, რომელიც აღმოაჩენდა მის ვაქცინას, ეროვნული გმირი გახდებოდა. სწორედ სალკი იქცა ამერიკელების კერპად, თუმცა, ბევრი სხვა იჩემებდა ამ „ტიტულს“.

როზალინ ფრანკლინი (1920-1958). 1951 წელს ფრანკლინმა, მორის უილკისთან ერთად, დაიწყო მუშაობა ჯონ რანდალის ასისტენტად, კინგს-კოლეჯში, კემბრიჯში. 1952 წელს აღწერა დნმ-ის მოლეკულის სპირალური სტრუქტურა. 1953 წელს მისი ნამუშევარი, ავტორის დაუსახელებლად უოტსონისა და კრიკის „ნობელიანტთა“ გაზეთში გამომზეურდა. 1958 წელს იგი ლონდონში 37 წლის ასაკში კიბოთი გარდაიცვალა.

მეცნიერების ისტორიაში ცოტა რამ არის ისეთი მიმზიდველი და წინააღმდეგობრივი, როგორც დნმ-ის სტრუქტურის ამოხსნა.

დეზოქსირიბონუკლეინის მჟავის ახსნა, როგორც გენეტიკური ინფორმაციის მატარებელი ქრომოსომებისა, იყო თვით სიცოცხლის გასაღების გარკვევა..

როზალინ ფრანკლინს დიდი წვლილი აქვს შეტანილი გრაფიტისა და ნახშირბადის სხვა ნაერთების სტრუქტურის გარკვევაში. ასევე ბრიტანეთის ქვანახშირის საკვლევი ასოციაციისათვის მან ჩაატარა საფუძვლიანი კვლევა ქვანახშირის შთანთქმის თვისებების შესახებ.

უიტსონი და კრიკი 1962 წელს ფიზიოლოგიაში ნობელის პრემიით დააჯილდოვეს (ფაქტობრივად ფრანკლინისაგან მოპარული დნმ-ის აღმოჩენისათვის).

პრემიის კომიტეტს ფრანკლინის აღიარების სურვილიც რომ ჰქონოდა, მაინც ვერ შეძლებდა, რადგან ეს პრემია სიკვდილის შემდეგ არ გაიცემა.



ჯეიმს დუი უიტსონი (დაიბადა 1928 წელს). 1953 წელს, ფრენსის კიკთან ერთად, ჩამოაყალიბა დნმ-ის მოლეკულის ორმაგი სპირალური ხაზის ცნება.

უიტსონი მიხვდა, რომ დნმ-ის გასაღები მის ფორმაში იყო დამალული, რომელიც დღეს კარგად ცნობილ, ორმაგ სპირალურ ხაზს წარმოადგენს.

უიტსონი 1962 წელს დაჯილდოეს ნობელის პრემიით მედიცინაში (ფიზიოლოგიაში) კრიკთან და მორის უილკინსთან ერთად.

დასანანია, რომ დნმ-ის აღმოჩენის ნამდვილი ავტორი როზალინ ფრანკლინი საერთოდ იგნორირებულ იქნა. მაგრამ ისტორიამ თავისი სათქმელი მაინც თქვა.

იყიდება

400-კაციანი საბანკეტო დარბაზი ოზურგეთის ცენტრში.

ტელ.

593 95 61 83.

ქირავდება

ფარნავაზ მეფის (ყოფილი ცხაკაიას) ქუჩაზე ორსართულიანი სახლი, ავეჯით, საკარმიდამო ნაკვეთით.

ტელ.

599 29 14 18;

599 58 75 32.

სკანვორდი



№40-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე – მედეა ჩახავა; ლექსის ფორმა – აკროსტიქი; მოფერება – ალერსი; ბერძნული სავეხბურთო კლუბი – აეკი; ომში ნადავლი – ალაფი; თბილი სამოსი – ქურთუკი; ძვირფასმერქნიანი ხე – თელა; მინერალური სამკურნალო წყალი – ლუგელა; მესამე პირის ნაცვალსახელი; რკინის კარები – ალაყაფი; მამლის ყივილი – ყიყლიყო; ბრაზილიური სასმელი – ყავა; ... არენინა – ანა; პატარა ხვრელი – ჭუჭრუტანა; უძველესი მარცვლეული კულტურა – ღომი; ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი ოზურგეთში – მანანური; ციხე-სიმაგრე დუშეთის რაიონში – ანანური; ზღვის და ხმელეთის ცხოველი – კუ; სამხედრო მანქანა – ტანკი; ადგილიდან მოწყვეტა – აძერა; სომხეთის დედაქალაქი – ერევანი; თიხის ჭურჭელი – დერგი; ციცი იარაღი – ყამა; მაჭრის ბუზი – ჰუჭკური; მხალეული მცენარე – ეკალა; შეუგნებელი – რეგვენი; მთავარი ბოძი – დედაბოძი; ქიმიური ელემენტი – კალა; ყვავილების ვაზა – ლარნაკი; ხვეისბერი გიჩას შვილი – ონისე; ინდოეთის დედაქალაქი – დელი; თავს შემოვლება – რეტუნება; კარგი ამინდი – დარი; ლიტერატურული პრემია – სალა; ემირატების დედაქალაქი – დუბაი; ჯუჯა მცენარე – ნაგალა; გიორგი მოფერებით – გიო; ჰოლანდიელი მხატვარი – ვანგოგი; ქალის სახელი – მზია; ქესაროლია ბიჭი – სესე; შოტლანდიაში ქალიც იცმევს და კაციც – კილა.

სულთათანა



ბაბრი ბებურიშვილის ხსოვნას

ჩემო დიდო ტკივილო, ჩემო უსაყვარლესო, ლამაზი სულის ვაჟკაცო შვილო... ჩიტივით უცებ გამიფრინდი... თუ ვინმეს ხელი ურევია ამ ქვეყნიდან შენს მოულოდნელ, გაუგებარ წასვლაში, ადრე თუ გვიან აუცილებლად დაისჯება, არ ეპატიება.

იმ საშინელ, 9 ივლისის დღეს, ხუთშაბათს რომ ვიხსენებ, გული თავიდან მისკდება, ცუდად ვხდები... ვერ გიშველე, შენს გადასარჩენად რაც გავაკეთე, საკმარისი არ აღმოჩნდა. ვნანობ ჩემს თავშეკავებას, შენ ხომ მთხოვე, სირცხვილი არ მაჭამოო, ამიტომაც ვერ ვიღრიალე, ქვეყანა ვერ შევძარი – შვილი გადამირჩინეთ მეთქი... შენი სიცოცხლის ბოლო წუთებში ფართოდ გახელილ შეშინებული თვალებით რომ გადმომხედე და რეამინაციის მიხურულ კარს მიღმა მეც რომ შეშინებული დავრჩი, ვიკადრე და შენთან შემოსვლას ვითხოვდი, რომ შენს გვერდით ვყოფილიყავი, გამემხნევებინე, გამეთბე, შენთვის სიცოცხლე

თავიდან მეჩუქებინა, მაგრამ შენთან არ შემომიშვეს... შემდეგ, თურმე ყველაფერი წამებში მომხდარა. მაინც რა მოხდა? რატომ?! შენ ხომ საავადმყოფოში საკუთარი ფეხით მიხვედი, მანამდე კი საკუთარი ხელით გამოიძახე სასწრაფო დახმარება, „ნემსს გამიკეთებენ და შინ დავბრუნდები, არ გამომყვეო,“– ასე მითხარი. მე მაინც გამოგყევი, მაგრამ სახლში ვეღარ დაბრუნდი. რატომ, რატომ? გული მიკვდება.

დედი, ბაბრი, ჩემო უტკბილესო შვილო, ჩვენ ხომ სხვანაირი, შესაშური დედაშვილობა გვქონდა. ვისაც ეს ერთხელ მაინც უნახავს, თვალცრემლიანები გიგონებენ. გიხსენებ საუკეთესო შვილს, შენი დისთვის, ქეთინოსთვის – საუკეთესო ძმას, როგორც მეგობარს, ჩვენზე მზრუნველს და თავგადაკლულ პატრონს. ასევე, გიხსენებენ, როგორც ყველას დამხმარეს, გვერდში მდგომს, სხვისი ჭირისა და ლხინის გულწრფელ გამზიარებელს. ამიტომაც, ის რაც სიცოცხლეში არ დაგიფასდა, გარდაცვალების შემდეგ მიიღე ხალხისგან გულთბილი ცრემლი და დიდი სიყვარული.

შენმა გარდაცვალებამ ყველას გულში ღრმა ტკივილი დატოვა. შენ დააკლდი სოფელს, ქალაქს, მთელ სამყაროს... დარწმუნებული ვარ, მტერსაც კი გულს აუყუჩებდა შენნაირი ტკბილი, თბილი, შთამბეჭდავი ადამიანის, ნამდვილი პიროვნების, კაცური კაცის დანაკლისი.

შენს საფლავთან მივდივარ, მგონია ცოცხალი დამხვდები, მაგრამ არა!.. ჩემს სულსა და გულში ხარ ცოცხალი, მაგრამ უხილავი, ჩემთვის შვილიცა და ღმერთიც ერთდროულად.

ბაბრი, შვილო! შენი ლამაზი ოცნებების აღსრულება არ დამცალდა. რა იქნებოდა, შენი დაბადების დღე – 28 ოქტომბერი, 57-ე წლის შესრულება, შენთან ერთად აღგვეღნიშნა. შენებურად გამასპინძლებოდი სტუმრებს, ყველას ერთად გვეზეიმა. როგორ გავიხარებდით, მაგრამ უშენოდ, შენი დის ძალისხმევით, შენთან ახლო ურთიერთობებში მყოფ ადამიანებთან ერთად, თვალცრემლიანებმა მოგილოცეთ დაბადების დღე და ნათელში ყოფნა გისურვეთ!

ჩემო დიდო ტკივილო, ჩემო უსაყვარლესო შვილო, ჩემო ყოველწამიერო მონატრებავ, ძალიან, ძალიან, ძალიან მიყვარხარ!

შენი გულკვდარი
დედა
ჟუჟუნა ბებურიშვილი

ტარიელ კაჭარავა
(მოსაგონარი)

ტარიელ კაჭარავა, გამორჩეული რჩეულთა შორის, დასაყრდენი, კარგი მეგობარი. თავისი საქმის უბადლო მცოდნე, ნიჭიერი ფიზიკოსი. ...ასე იცნობდა არა მარტო ანასეული, განათლების სფერო.

1968 წლიდან დიდი, ფართო ნაბიჯებით დააბიჯებდა იგი № 5 საჯარო სკოლის დერეფნებში, მუდამ საქმიანი, კეთილი ღიმილით. ყოველი მისი გაკვეთილი ცოდნის ზეიმი იყო, უძღვებოდა სკოლის სასწავლო პროცესს.

ტარიელის სულიერი სამყარო პოეზიის დიდი სიყვარულით იყო გაჯერებული. მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება მისაბაძი იყო ყველა ჩვენგანისთვის.

ღირსეული ოჯახის მამა, სანაქებო შვილების აღმზრდელი.

დღეს ტარიელი ჩვენს შორის აღარ არის, თუმცა დატოვა სახელი, რომელსაც პატივისცემითა და სიყვარულით ვიხსენებთ.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი ლამაზი სული.

სსიპ ქალაქ ოზურგეთის №5 საჯარო სკოლა საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი ოზურგეთის განყოფილება

ნონა მამულაიშვილი

„თუ გადამქრალი შენ ხარ ვარსკვლავი
ეხლაც მინათებს შენი მშვენება,
შენგან შევიტყვე, რომ სილამაზეს
არ უწერია გადაშენება"



ცნობილი პოეტის გიორგი ლეონიძის ეს სტრიქონები მთლიანად ესადაგება შენს პიროვნებას. მართლაც მინათებდი ცხოვრებას, შვილო. ძალიან ლამაზი იყავი, როგორც გარეგნული შეხედულებით, ისე სინდისით, ხორცით, გულითა და სულით, ადამიანებთან ურთიერთობით. ოქროს გული გქონდა მაგრამ იგი გაგიჩერეს და ჩამოგაშორეს ოჯახს, ერთადერთ შვილს, ბექას, საავადმყოფოს ზოგიერთმა ვაიექიმმა, რომელთაგან ერთ-ერთი თითქოს დასაჯეს, დროებით გაათავისუფლეს სამუშაოდან მაგრამ ახლა განაგრძობს საქმიანობას.

22 ოქტომბერი ხომ შენი დაბადების დღეა, რომელიც კვლავ უშენოდ მოვიდა, ასევე გიყვარდა ქალთა დღე-8 მარტი, რომელსაც ახლობლებთან ერთად დიდი სიხარულით აღნიშნავდი და სწორედ გაზაფხულის ამ ლამაზ დღეს ჩაიფერფლა შენი ლამაზი სიცოცხლეც.

განსაკუთრებით მძიმე დარჩა უშენობა ჩემთვის. ჩვენ ხომ ერთი ინსტიტუტი და ფაკულტეტიც ერთი დავამთავრეთ. 18 წელი ერთად ვმუშაობდით. ქორწილებსა და სხვადასხვა შემთხვევებშიც ერთად დავდიოდით და ერთად ვმღეროდით. ერთი სიტყვით ძალიან ვამაყობდი შენი შვილობით, რისთვისაც უდიდეს მადლობას გიხდი. დიდად ვწუხვარ რომ ვერაფრით დაგეხმარე, ავადმყოფობის გამო უცებ გამომეცალე ხელიდან.

უზომოდ მენატრები, გეხვევი და გკოცნი ბევრს.

მამა **ამირანი.**

საამაყო კურსდამთავრებული

სკოლა ყოველთვის ამაყობს გამორჩეული მოსწავლეებით, მაშინ როცა ისინი სკო-ლაში სწავლობენ და მაშინაც, როცა სკოლის დამთავრების შემდეგ თავს გამოიჩენენ სხვადასხვა წარმატებებით. მაია დვალიძე სკოლაში ყოველთვის გამოირჩეოდა სწავლითა და ყოფაქცევით, აქტიურობით, საზოგადოებრივ საქმეებში ჩართულობით, მუდამ მეამბოხე და ახლის მაძიებელი იყო, კარგი ლიდერი და კლასის სული და გული.

სკოლის დამთავრების შემდეგ თვალს ვადევნებდით მის წარმატებებს და გვიხაროდა, რომ სერიოზულად მოეკიდა თავის პროფესიას და კარგ სპეციალისტად ჩამოყალიბდა. არც ამჟამად დაკმაყოფილდა მიღწეულით, სწავლა გაიღრმავა და დღეს მას მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხი მიენიჭა.

ვულოცავთ მაიას ამ წარმატებას. ვუსურვებთ ახალი მწვერვალების დაპყრობას, ჯანმრთელობას და მადლიერ პაციენტებს.

სსიპ ქალაქ ოზურგეთის №5 საჯარო სკოლის დირექცია და პედაგოგიური კოლექტივი.

ნორჩ კარატისტთა წარმატება სტამბულში

30 ოქტომბერს გურიის გუბერნატორი გია სალუქვაძე გურიის სამხარეო ადმინისტრაციაში ნორჩ კარატისტებს შეხვდა და მათ თურქეთში გამართულ ევროპის ჩემპიონატში მოპოვებული წარმატება მიულოცა. 23-25 ოქტომბერს კარატეს ევროპის ჩემპიონატს ახალგაზრდებში რეგიონებს შორის სტამბულმა უმასპინძლა. თურქეთის ქალაქ სტამბულში გაიმართა ევროპის ჩემპიონატი კარატეში, რომელშიც გურიის ნაკრებმა 2 ოქროს, 3 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ჩემპიონები გიორგი კეჭაყმაძე და ლაშა კოსტავა გახდნენ. ვერცხლის მედლები გიორგი ზენაიშვილმა, ავთო ონიანმა და გიორგი კეჭაყმაძემ მოიპოვეს. ბრინჯაოს მედლები კი - გუგა ივანიშვილმა და გიორგი მამინაშვილმა. აღნიშნულ ჩემპიონატში მონაწილეობა 28 ქვეყნიდან 1200-მა სპორტსმენმა მიიღო. ჩემპიონატზე გურიის ნაკრები საქართველოს რეგიონებს შორის მე-2 ადგილზე გავიდა. სპორტსმენებთან შეხვედრას საქართველოს კარატეს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი კახა ბასილია, შსს გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსი კობა ცერცვაძე, გუბერნატორის მოადგილე სოსო ერქომაიშვილი, ქალაქ ოზურგეთის მერი ბეგლარ სიორიძე, მერის მოადგილე კობა დუნდუა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი მერაბ ჭანუყვაძე და გურიის რეგიონალური კარატეს ფედერაციის ხელმძღვანელი მერაბ თურქია დაესწრნენ. ხაზგასასმელია კობა ცერცვაძის თანაგომა და საბოლოოდ სასურველი შედეგის მიღება ამ მეტად ტიტულოვან ჩემპიონატებზე. კობა ცერცვაძე საქართველოს კარატეს ეროვნული ნაკრების ღირსებას წლების განმავლობაში იცავდა და არის მსოფლიო ჩემპიონი პოლიციელ კარატისტთა შორის. საქართველოს კარატეს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა კახა ბასილიამ მადლობა გადაუხადა გაწეული დახმარებისთვის გურიის გუბერნატორს გია სალუქვაძეს, მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელებს და გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსს კობა ცერცვაძეს. შეხვედრის დასასრულს გუბერნატორს თანადგომისთვის სამახსოვრო თასიც გადასცეს

.ქ. ოზურგეთის მერმა ბეგი სიორიძემ გამოთქვა სურვილი გამარჯვებულ სპორტსმენთა და მათი მწვრთნელისათვის ფულადი ჯილდოს გადაცემის შესახებ.

ტურნირი მოკლე ნარდში

ალიონი. გურიის ნარდის ფედერაციის ორგანიზებით, გურიის სამხარეო ადმინისტრაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობების მხარდაჭერით, ქალაქ ოზურგეთის სპორტის სასახლეში 30-31 ოქტომბერს მიმდინარეობდა ტურნირი ქართულ მოკლე ნარდში, რომლის გახსნას გურიის გუბერნატორი გია სალუქვაძე, მოადგილესთან სოსო ერქომაშვილთან ერთად დაესწრო.

აღნიშნულ ტურნირში საპატიო მსაჯის სტატუსით მოწვეული გახლავთ საქართველოს ნარდის ასოციაციის პრეზიდენტი თეიმურაზ ქურციკიძე; ჟიური შედგება 2 წევრისაგან: „ლიდერ ბეთის“ აღმასრულებელი დირექტორი ბაჩო სარალიძე და ამავე კომპანიის წარმომადგენელი მარიამ ტყაბლაძე.

ტურნირში 100-ზე მეტი ნარდის მოყვარული იღებდა მონაწილეობას. ქ. ოზურგეთის და თემების მუნიციპალიტეტებიდან გამარჯვებულები 31 ოქტომბერს გამოვლინდნენ. ტურნირში. გურიის ჩემპიონატი მოკლე ნარდში ნოემბრის ბოლოსთვის გაიმართება. დაწვრილებით ინფორმაციას გამარჯვებულების შესახებ „ალიონის“ მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ.

ავტომობილები განვადებით

მიცუბიში აირტეკი – 2002 წ. – 1350
პაჯერო იო – 2002 წ. – 1700
ტოიოტა ვოქსი – 2004 წ. – 1250
ტოიოტა პასსო – 2010 წ. – 1600
ტოიოტა რავ-4 – 2000 წ. – 3100
ნისან ტიიდა – 2005 წ. – 1400
ნისან მარჩი – 2004 წ. – 1000
ნისან ფუგა – 2005 წ. – 2100
ჰონდა ფიტი - 2008 წ. – 1650
ჰონდა ცრვ – 2003 წ. – 2400
ფონდა სივიკი - 2003 წ. – 1200
მაზდა დემიო – 2003 წ. – 900
მაზდა მპვ – 2004 წ. – 1100
მაზდა ტრიბუტე – 2003 წ. – 1300
სუზუკი ქარი ტრიუკი – 1999 წ. – 1150
სუბარუ ფორესტერ – 2002 წ. – 1350
სუბარუ ლეგასი – 2005 წ. – 1700
სიბარუ ოუტბაქსი – 2004 წ. – 1550
მერსედესი ე კლასი – 2003 წ. – 3700
ბმვ 525ი – 2004 წ. – 4050

ფასები მითითებულია აშშ დოლარში

მანქანის ჩამოსვლის შემდეგ იხდით კონტეინერის თანხას

ტელ. 595 11 10 30; ზურა, 598 47 47 03 დათო.

მისამართი: ქ. ოზურგეთი, 26 მაისის ქ. №11, მე-2 საჯარო სკოლის გვერდით.

შრომელ მოზარიკავეთა მორიგი წარმატება

ალიონი. მორიგ წარმატებებს მიაღწიეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შრომის საჯარო სკოლაში მოქმედი ფარიკაობის სექციის წარმომადგენლებმა ქალაქ ზესტაფონში, მიხეილ სალაძის სახელობის სპორტის სასახლეში საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის სიმონ საყვარელიძის ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირში, რომელშიც 2001-2002 და 2003-2004 წლებში დაბადებული სპორტსმენები მონაწილეობდნენ.

გოგონათა შორის უფროს ასაკობრივ ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავა შრომის საჯარო სკოლის VI კლასის მოსწავლემ ინა ჩიქოვანმა; ვაჟებში მე-3 იყო ომარ ხომერიკი (2001 წ.). მეხუთე ადგილს დასჯერდა ეკალდიდელი ნოდარ ივანაძე (2002 წ). თითო ბრძოლა მოიგეს დებიუტანტებმა 2004 წელს დაბადებულმა გიგა ფუტკარაძემ (ეკალდიდი) და 2005 წელს დაბადებულმა ლაშა ბარამიძემ.

მალხაზ კვაჭაძე,
გუნდის მწვრთნელი

ოზურგეთელი მოკრივეების წარმატება ბათუმში

ალიონი. 26-28 ოქტომბერს ქალაქ ბათუმში ჩატარდა სურენ საროიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი საქალაქთაშორისო ტურნირი კრივში, ორ ასაკობრივ ჯგუფში 2001-2004 და 2005-2008 წლებში დაბადებულთა შორის. აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობდა ქალაქ ოზურგეთის სასპორტო სკოლის ნაკრები გუნდი.

2001-2004 წლებში დაბადებულთა შორის ჩემპიონები გახდნენ: 34 კგ წონით კატეგორიაში – ოთარ აბესაძე, 37 კგ-ში – რომა აბესაძე, 58 კგ-ში – ბექა იორდანიძე. 32 კგ წონით კატეგორიაში მეორე ადგილი დაიკავა ლევან ნაცვალაძემ.

2005-2008 წლებში დაბადებულთა შორის 32 კგ წონით კატეგორიაში ჩემპიონი გახდა დემეტრე გორგოშიძე, მეორე ადგილი დაიკავა ომარ ბექაძემ. გუნდის მწვრთნელი იულო საკაია.

7 დღის ამინდის პროგნოზი

მზე, ღრუბელი +8+12	წვიმა +8+12	მზე +7+14	მზე +4+11	მზე +10+18	მზე +10+18	მზე +8+17
2 ნოემბერი ორშაბათი	3 ნოემბერი სამშაბათი	4 ნოემბერი ოთხშაბათი	5 ნოემბერი ხუთშაბათი	6 ნოემბერი- პარასკევი	7 ნოემბერი შაბათი	8 ნოემბერი კვირა